ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 513

“4” ოქტომბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10ა-ში, კორპუსი №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.059.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №504 განკარგულების ძალადაკარგულობისა და ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10ა-ში, კორპუსი №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.059.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების და ,,ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10ა-ში, კორპუსი №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.059.01.520) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის №23.1758.1969 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10ა-ში, კორპუსი №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.059.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 სექტემბრის №24.1598.1817 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ,,ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10ა-ში, კორპუსი №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.059.01.520) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის №23.1758.1969 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10ა-ში, კორპუსი №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.059.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 სექტემბრის №24.1598.1817 განკარგულების მესამე პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე: ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10ა-ში, კორპუსი №2-ში,

პირველ სართულზე არსებული 33.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.059.01.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 - (ერთი) ლარად პრივატიზებაზე მოქალაქე ნოდარი ეფრემიძისთვის (პ/ნ. 37001001183) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10ა-ში, კორპუსი №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.059.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №504 განკარგულება.

3. განკარგულების ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე